



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუტკალიისებრნი



კუტკალია

კუტკალიისებრნი, კუტკალიები (Tettigonioidea), მწერების ზეოჯახი სწორფრთიანთა რიგისა. ნაირჭამია მავნებლებია. გავრცელებულია თბილ და ზომიერ სარტყლებში. მსოფლიოში ცნობილია 7 ათასამდე სახეობა. საქართველოში კუტკალიები იზამთრებენ ნიადაგში კვერცხის ფაზაში. მატლი იჩეკება გაზაფხულზე, 5-8-ჯერ იცვლის კანს და 1-2 თვის (სახეობების მიხედვით) შემდეგ გადაიქცევა იმაგოდ. კუტკალიები დიდ ზიანს აყენებენ მარცვლოვნებს,

თამბაქოს, ვაზს. არსებობენ მტაცებელი კუტკალიებიც, რ-ებიც მწერებით იკვებებიან. საქართველოში მავნეობით გამოირჩევა მწვანე კუტკალია (*Tettigonia viridissima*), გრძელკუდა კუტკალია (*Tettigonia caudata*), მავნე, ანუ უფრთო კუტკალია (*Parapholidoptera noxia*), თეთრშუბლა კუტკალია (*Decticus albifrons*), ამიერკავკასიური რუხი, ანუ ლაქებიანი კუტკალია (*Decticus annaelisae*), კოლხური იზოფია (*Isophya redtenbacheri*) და სხვ.

ე. აბაშიძე
